საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

I - ბიუჯეტირება

1. ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

1.1 წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: 2014 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა საქართველო პარლამენტისთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის არსებულ მოთხოვნებს და მოიცავს ანგარიშგებას მიღწეული შედეგების მიხედვით. დანერგილია აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებულ დასკვნებზე რეაგირების მექანიზმები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წარედგინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და საქართველოს მთავრობას.
გარდა ამისა, მომზადდა „საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულებების გაძლიერებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის N144 განკარგულება. აღნიშნული განკარგულება აყალიბებს მექანიზმს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად განახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით წარმოდგენილ შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებას. აღნიშნული მექანიზმის შემუშავების ვალდებულება ასევე წარმოადგენს ევროკავშირთან საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მიმართულებით არსებული ვალდებულებების ნაწილს.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 სექტემბრის N28 სხდომის ოქმის შესაბამისად, მომზადებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესასრულებლად სამოქმედო გეგმის ჩარჩო და მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, სხვადასხვა უწყებებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან აღნიშნული სამოქმედო გეგმის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული პროექტი წარედგინება საქართველოს მთავრობას უახლოეს მომავალში.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 საშუალო-ვადიანი დაგეგვმა (MTEF)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2015-2018 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და 2016-2019 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილი საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს; სამინისტროების სამოქმედო გეგმები შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმებს; საშუალოვადიანი გეგმები ორგანული კანონით განსაზღვრულ ფისკალური პოლიტიკის პარამეტრებს; საქართველოს სამინისტროების მიერ დამტკიცებულია საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც შეესაბამება ქვეყნის საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას და რომლებიც მოიცავს შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს

პერიოდი: თებერვალი-დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე მომზადდა „ქვეყნის ძირითადის მონაცემების მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და წარედგინა საქართველოს მთავრობას. მიღებულ იქნა 2015 წლის 19 თებერვლის N64 დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს. აღნიშნული დადგენილებით, 2013-2014 წლების შეფასების და 2015 წლის სამოქმედო გეგმების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოდგენის ვადად განისაზღვრა მიმდინარე წლის 31 მარტი. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის საფუძველზე მომზადდა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი (2016-2019 წლები) და გაეგზავნა საქართველოს მთავრობას. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2016-2019 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარედგინა საქართველოს მთავრობას.

5 პილოტი სამინისტროს მიერ მომზადდა 2016-2019 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები პროგრამული ბიუჯეტის განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, განათლებისა და მეცნიერების, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ფინანსთა სამინისტროები).

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში; კანონპროექტი შესაბამისობაშია საშუალოვადიანი გეგმების და კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებთან; საბიუჯეტო პაკეტი შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის დადგენილ სტანდარტებს

პერიოდი: ივლისი-დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი და წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ბიუჯეტის პაკეტი მოიცავს პროგრამული ბიუჯეტის განახლებული ფორმატით მომზადებულ ინფორმაციას და შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის განახლებულ მეთოდოლოგიას.

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის საფუძველზე მომზადებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის სახელმძღვანელო მხარჯავი დაწესებულებებისათვის; მხარჯავი დაწესებულებები იცნობენ პროგრამული ბიუჯეტის შედგენის სახელმძღვანელოს და იყენებენ მის ინსტრუქციებს წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადებისას

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: დამტკიცდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგია საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით (2015 წლის 14 აგვისტოს №265 ბრძანება). უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმებიდან, სექტორული სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე. პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებს უფრო ფართო მაჩვენებლების სისტემას: თითოეული პროგრამისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა, შესაძლო რისკები. აღნიშნული მიზნად ისახავს, რომ სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებით თუ სხვადასხვა სექტორულ სტრატეგიებით განსაზღვრული პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები და მათი ბიუჯეტები ასახული იქნეს შესაბამისი წლის წლიური ბიუჯეტის კანონში და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში. მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენის პროცედურები და მოცემულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და როგორ უნდა მოხდეს თითოეული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინფორმაციის მომზადება, როგორ უნდა მოხდეს ხარჯთაღრიცხვების მომზადება სხვადასხვა ტიპის პროგრამებისთვის: მართვისა და რეგულირების, მომსახურების მიწოდების, სუბსიდირების, ინფრასტრუქტურული/კაპიტალური.

2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდა განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე. ამასთან, მიმდინარე წელს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები განახლებული ფორმატით პილოტურად მომზადდა ხუთი სამინისტროს მიერ (საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, განათლებისა და მეცნიერების, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ფინანსთა სამინისტროები).

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების შერჩევის და განხორციელების მექანიზმების ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების შერჩევის, დაგეგმვისა და განხორციელების მექანიზმებს და პროცედურებს და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების მომზადების ინსტრუქციებს

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: აღნიშნულ საკითხზე გაიმართა შეხვედრები მსოფლიო ბანკის ტექნიკურ ჯგუფთან, მიმდინარეობს მუშაობა კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგიის პროექტზე წლის ბოლომდე შეთანხმდება საბოლოო ვერსია და დამტკიცდება 2016 წლის პირველ ნახევარში.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.6 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და სსიპების/ა(ა)იპების ბიუჯეტების სრულყოფილად მოქცევა საქართველოს საბიუჯეტო სისტემით გათვალისწინებულ რეგულაციებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტების აღსრულება და შესრულების ანგარიშგება ხორციელდება ერთიანი სტანდარტით, შემოსულობის ნებისმიერი წყაროდან მიღებული სახსრებით განხორციელებული ოპერაციებისას

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: 2015 წლის 1 იანვარს წარმატებით განხორციელდა ადგილობრივი თვიმმართველი ერთეულებისა და სსიპების/ა(ა)იპების ბიუჯეტების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოქცევა და მათი საბიუჯეტო პროცესის ხორციელდება საბიუჯეტო სისტემის მოთხოვნათა სრული დაცვით.

GIZ-თან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტების საფინანსო სამსახურების 200-ზე მეტ თანამშრომელს ჩაუტარდა ტრეინინგები საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით, მათ შორის ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა, შემოსავლებისა და გადასახდელების დაგეგმვა, ბიუჯეტის დაზუსტება, ბიუჯეტის შესრულება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.7 საჯარო ფინანსების მართვის (ელექტრონული) სისტემის (PFMS) ბიუჯეტის მართვის მოდულის გამართული ფუნქციონირება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, მუნიციპალიტეტები, სსიპები/ა(ა)იპები)

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტის მართვის მოდულის ყველა ფუნქციონალი მუშაობს გამართულად და საბიუჯეტო პროცესში სრულად გამოიყენება E-Budget

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: სამსახურთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი მოდულების გაუმჯობესების მიმართულებით. საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემა გამართულად და სრულყოფილად ფუნქციონირებს. მიმდინარე წელს ელექტრონული პროგრამა შესაბამისობაში მოვიდა პროგრამული ბიუჯეტი მეთოდოლოგიასთან და მხარჯავი დაწესებულებების მიერ პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდა განახლებული ფორმატით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.8 საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის შემდგომი სრულყოფისათვის ევროკავშირში არსებულ რეგულაციებთან საქართველოს ფისკალური პოლიტიკის თავსებადობის ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური (ჩართული მხარეები:)

შესრულების მაჩვენებელი: დასრულებულია და გამოქვეყნებულია დოკუმენტი, რომელიც ასახავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის თავსებადობას ევროკავშირის ფისკალურ პოლიტიკასთან

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: მომზადდა ევროკავშირში არსებულ რეგულაციებთან საქართველოს ფისკალური პოლიტიკის თავსებადობის ანალიზი - „ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან“, რომელშიც განხილული იქნა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ფისკალური პოლიტიკა და დისციპლინა და საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკა და ფისკალური პოლიტიკა, აღწერილ იქნა საბიუჯეტო სისტემის რეფორმის მიმდინარე ეტაპი და ფისკალური პოლიტიკისა და მართვის გაძლიერებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები. ევროკავშირში არსებულ რეგულაციებთან საქართველოს ფისკალური პოლიტიკის თავსებადობის ანალიზი გაგზავნილ იქნა ევროკავშირის ტექნიკურ მისიასთან განსახილველად. ევროკავშირის ექსპერტის მიერ წარმოადგენილი რეკომენდაციები გათვალისწინებით მომზადდა აღნიშნული დოკუმენტის საბოლოო ვერსია და განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე - http://mof.ge/images/File/biujeti/Fiscal_Governance-GEO.pdf

შენიშვნა: დასრულებულია

1.9 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებულია საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების მექანიზმები; 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: უზრუნველყოფილია საბიუჯეტო დოკუმენტაციის საჯაროობა, ბიუჯეტთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (http://mof.ge/4889 - „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი - საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები - http://mof.ge/4871 და სხვა).

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (http://mof.ge/4542); გარდა ამისა, ვებ-გვერდზე განთავსებულია "დაგეგმე 2016 წლის ბიუჯეტი" (http://survey.mof.ge/), სადაც შესაძლებელია პრიორიტეტების განსაზღვრა.

ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (The International Budget Partnership) მიერ გამოქვეყნებული „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015"-ის (Open Budget Survey 2015) შედეგებით, საქართველომ 66 ქულით მე-16 ადგილი დაიჭირა მსოფლიოს 102 ქვეყანას შორის, რითაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა პოზიციები 2012 წლის ანალოგიურ კვლევასთან შედარები (2012 წლის ინდექსის თანახმად 33-ე ადგილს იკავებდა) და საქართველო მოექცა მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნებს შორის.

მომზადდა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.10 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით

პერიოდი: იანვარი-სექტემბერი

პროგრესი: დამტკიცდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს №265 ბრძანება)

შენიშვნა: დასრულებულია

II - საგადასახადო პოლიტიკა და საბაჟო საკითხები

1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

1.1 საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა და შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების ანალიზი, წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების ანალიზი, არსებული ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებების იდენტიფიცირება და კანონპროექტის მომზადება მათი აღმოფხვრის მიზნით, გადამხდელთა ძირითადი ვალდებულებების ნორმატიულ აქტებში ასახვის მიზნით შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მიღებულ იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიანი და მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნას, გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფას, ცალკეული გადასახადის გადამხდელებისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების, ტექნიკური უზუსტობების და ბუნდოვანების აღმოფხვრას. კერძოდ:

ფიზიკური პირის მიერ ფიზიკური პირზე საცხოვრებელი ფართის გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავალი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადის 5 პროცენტიანი განაკვეთით. ფიზიკური პირის მიერ აქტივის მიწოდების შედეგად მიღებული ნამეტი შემოსავალი დაიბეგრება 5 პროცენტით; არარეზიდენტისათვის გადახდილი როიალტი დაიბეგრება წყაროსთან 5 პროცენტით, ნაცვლად არსებული 10 პროცენტისა; შეჩერებული მშენებლობების დასრულების ხელშეწყობის მიზნით დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება უძრავი ქონების მიწოდება 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში და შესაბამისი ობიექტისათვის სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურება, თუ მშენებლობაზე შესაბამისი ნებართვა გაცემულია 2008 წლის 8 აგვისტომდე, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განხორციელდება 2018 წლის 1 იანვრამდე და ობიექტი, მშენებლობის ნებართვის რეგულირების განმახორციელებელი შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს შეტანილი აქვს შეღავათით მოსარგებლე ობიექტების ნუსხაში.

შემცირდა სანქცია გადასახადის გადამხდელთან დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაზე, კერძოდ, საგადასახადო ორგანოს მიერ ინვენტარიზაციის შედეგად პირი დამატებით დაჯარიმდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბაზრო ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით, ნაცვლად დღეს არსებული 50 პროცენტისა. ამასთან, დანაკლისი განიხილება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად; აღურიცხველი საქონლის გამოვლენისათვის სანქცია მცირდება ამ საქონლის ღირებულების 50 პროცენტამდე, ნაცვლად არსებული 100 პროცენტისა; გადასახადის ვადაში გადაუხდელობისათვის არსებული საურავი 0.06 პროცენტისა მცირდება 0.05 პროცენტამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; მსუბუქდება ჯარიმა დღგ-ს

რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისათვის და ის აღარ იქნება 1000 ლარზე მეტი; დღეს არსებული რედაქციით პირი ამ დარღვევისათვის ჯარიმდება დღგ-ს თანხის ფაქტიურად 100 პროცენტით (დასაბეგრი ოპერაციის 15 პროცენტით); ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ვადა ყველა შემთხვევაში განისაზღვრება 1 თვით. საქონლის დროებითი შემოტანის შემთხვევაში გრაფიკის წარდგენისა და თანხის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი. იცვლება უკუდაბეგვრის დღგ-ის გადახდის წესი, რომლის თანახმად, მისი გადახდის ვალდებულება ექნებათ მხოლოდ დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებულ პირებს, ხოლო დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი დღგ-ის უკუდაბეგვრის თანხას ასახავს შესაბამის საანგარიშო პერიოდის დღგ-ის დეკლარაციაში, რაც ამავდროულად იქნება ჩათვლის მიღების საფუძველი. ახლებურად ყალიბდება ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის გარიგებისას დღგ-ს მიზნებისათვის საბაზრო ფასების გამოყენების პრინციპები, ამომწურავად განისაზღვრება თუ რა შემთხვევებში იქნება შესაძლებელი საბაზრო ფასების გამოყენება;

საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავდა და გამოიცა „პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირების და გაუქმების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება.

შემუშავდა და გამოიცა ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრა თამბაქოს პროდუქციაზე (ფილტრიან სიგარეტებზე) საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის წესი;

გამოიცა ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხისა და საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და გადაუხდელი ჯარიმის ჩამოწერის წესი.

2015 წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ფიზიკური პირებისათვის ფინანსური ინსტიტუტების მიერ სასესხო ვალდებულების პატიების, აგრეთვე, ელექტროენერგეტიკის საწარმოების მიერ აბონენტებისათვის დავალიანების/ვალის პატიების პროცესის ხელშეწყობის მიზნით მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისად საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდა:

- 2015 წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ფიზიკური პირის მიერ ფინანსური ინსტიტუტისგან სასესხო ვალდებულების პატიების შედეგად მიღებული სარგებელი. ამასთან, სტიქიის შედეგად დაზარალებული ფიზიკური პირების სიას ადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

- 2001 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში ელექტროენერგიის მიწოდებიდან წარმოშობილი ვალის პატიების შედეგად ფიზიკური პირის მიერ მიღებული სარგებელი. ამასთან, პატიების შემთხვევა არ ჩაითვლება მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებად და არ იქნება 2001 წლის 1 ნოემბრიდან 2005 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში მიწოდებული ელექტროენერგიის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის საფუძველი.

გადასახადებით დაბეგვრისა და გადასახადების ადმინისტრირებაში ცალკეული პრობლემური საკითხების გადაჭრის, დაბეგვრის მექანიზმის სრულყოფის და დადგენილი საგადასახადო შეღავათების ვადის გაგრძელების მიზნით მომზადდა და საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარგენილ იქნა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი, რომლის შესაბამისად:

2018 წლის 1 იანვრამდე გადავადდება:

- საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან გათავისუფლება ფიზიკური პირისთვის, რომელიც საქმიანობს ბაზრობის ტერიტორიაზე;

- სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი, ფიზიკური პირისათვის, რომელიც ახორციელებს მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას;

- ხორციელდება თამბაქოს ნედლეულისათვის იმპორტის გადასახადზე დაწესებული საგადასახადო შეღავათი;

- სუსტი კაპიტალიზაციის მარეგულირებელი დებულებები.

საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლება თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განსახორციელებული ნებადართული საქმიანობების გაფართოების მიზნით განსაზღვროს თიზ-ის საწარმოს მიერ საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტისათვის გასაწევი მომსახურეების სახეები, ასევე განსაზღვროს საქმიანობის სახეები, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც პირებს ექნებათ შემოსავლის 3 პროცენტიანი ფიქსირებული გადასახადით დაბეგვრის რეჟიმის გამოყენების უფლება.

დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლდება ნაჭუჭგაცლილი თხილის მიწოდება

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილი ხდება წერილობითი დოკუმენტის წარდგენისას, მის ჩაბარებაზე უარის ფაქტის დაფიქსირების მიზნით გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები.

ზუსტდება ცალკეული საკითხები, კერძოდ:

- საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით პირის მიერ ზარალის გადატანის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადები და პირის მიერ, გადასახადით დაბეგვრის ობიექტის დადგენისათვის აუცილებელი დოკუმენტის შენახვის ვადა;

- ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავლის 5%-ითდაბეგვრის რეჟიმი ასევე გავრცელდება საცხოვრებელი ბინის ორგანიზაციისათვის მიქირავების შემთხვევაშიც;

- ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონება მოიცავს საინვესტიციო ქონებას;

- თუ საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად აქვს ვალდებულება გაათავისუფლოს ან თავის თავზე აიღოს საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის შედეგად წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების შესრულება, ჩაითვლება, რომ ამ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია გადასახადებისგან.

მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა „პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება.

შემუშავებულ იქნა მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და შეჩერების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლითაც განისაზღვრება

მაღალმთიანი საწარმოოს სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და შეჩერებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. ამასთან, აღნიშნული პროექტით განისაზღვრება მაღალმთიანი დასახლების საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომელზედაც გავრცელდება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისიწინებული საგადასახადო შეღავათი.

საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის აქტიური მონაწილეობით განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებების შემუშავება, რომლის შესაბამისადაც დაწესდა მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები საშემოსავლო, მოგებისა და ქონების გადასახადის ნაწილში მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ფიზიკური პირებისა და ამავე რეგიონის საწარმოებისათვის.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების სამოქმედო გეგმის შემუშავება, ევროკავშირის დირექტივების საგადასახადო კანონდებლობასთან შედარებითი ანალიზის განხორციელება და საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტების მომზადება

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების სამოქმედო გეგმის შემუშავება და ევროკავშირის დირექტივების საგადასახადო კანონდებლობასთან შედარებითი ანალიზი.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან, კერძოდ, ევროსაბჭოს 2011 წლის 21 ივნისის 2011/64/EU დირექტივასთან დაახლოების, თამბაქოს ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დანერგვის, გადასახადების ადმინინისტრირების გამარტივების, და თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრების მიზნით მომხადდა და პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისად 2015 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა აქციზის განაკვეთი ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) 0,15 ლარის ოდენობით, ხოლო უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) 0,05 ლარის ოდენობით, ასევე აღნიშნული ცვლილებით 2015 წლის 1 ივლისიდან შემოდის აქციზის გადასახადის ე წ. „შერეული სისტემა“ და თამბაქოს ნაწარმზე (ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე) დამატებით დაწესდება აქციზი საცალო სარეალიზაციო ფასის 5 პროცენტის ოდენობით. საკანონმდბლო ცვლილებების იმპლემენტაციის მიზნით გამოიცა ფინანსთა მინისტრის ბრძანება რომლის შესაბამისადაც განისაზღვრა თამბაქოს პროდუქციაზე (ფილტრიან სიგარეტებზე) საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის წესი.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდგომი დაახლოების, თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრების და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთის ოპტომიზაციის მიზნით მომზადდა და საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილ იქნა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი რომლიც ითვალისწინებს:

2016 წლის 1 იანვრიდან აქციზის ფიქსირებული განაკვეთის ზრდას:
- ფილტრიან სიგარეტზე (20 ღერზე) - 0,20 ლარის ოდენობით;
- უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) - 0,05 ლარის ოდენობით;
- სიგარებზე ერთ ღერზე და სიგარალებზე 20 ღერზე - 0.4 ლარით;
- ყალიონით მოსაწევ და საღეჭ ან საყნოს თამბაქოზე 1 კგ-ზე - 5 ლარით.

ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე (20 ღერზე) აქციზის პროპორციული განაკვეთის ზრდსა 5 დან 10 პროცენტამდე;

2016 წლის 1 იანვრიდან ვისკიზე, რომზე და ტაფიაზე, ჯინისა და ღვიის ნაყენზე აქციზის განაკვეთის 10 ლარიდან 15 ლარამდე, ხოლო სხვა ალკოჰოლურ სასმელებზე და ეთილის სპირტზე (გარდა, **ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით მიღებული სპირტის ნაყენებისა,** ლიქიორებისა და ზოგიერთი სხვა დაბალ ალკოჰოლური სასმელისა), აქციზის განაკვეთის - 10.2 ლარამდე გაზრდას.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, ბიზნესისათვის აქტუალურ საკითხებზე საჯარო გადაწყვეტილებების პროექტების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: არსებული პრაქტიკის გაანალიზების შედეგად მოხდება ბიზნესისათვის აქტუალური (გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებული) საკითხების იდენტიფიცირება და საჯარო გადაწყვეტილების პროექტების შემუშავება, რომლის მიღების შემთხვევაშიც ბიზნესისათვის წინასწარ იქნება ცნობილი მაკონტროლებელი ორგანოს ოფიციალური პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში და თუ მეწარმე იმოქმედებს საჯარო გადაწყვეტილების შესაბამისად, მას მომავალში დამატებითი გადასახადი/სანქცია არ დაერიცხება. ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს სტაბილური საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბებას

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა და გამოცემულ იქნა ფინანსთა მინსტრის ბრძანება საჯარო გადაწყვეტილების გამოცემის წესის თაობაზე. USAID პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის (G4G) საქართველოში“ ფარგლებში გიმართა სამუშაო შეხვედრები საჯარო გადაწყვეტილების გამოცემის წესის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ამასთან შემუშავებულია ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.4 საქართველოს საბაჟო კოდექსისა და მისგან გამომდინარე საქართველოს საკანონმდებლო აქტებში თანმდევი პროექტების მომზადება, ასევე საბაჟო კანონმდებლობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტი; საქართველოს საბაჟო კოდექსიდან გამომდინარე შემუშავებული საკანონმდებლო აქტებში ცვლილების პროექტები; საბაჟო სფეროს მარეგულირებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებისა და მთავრობის დადგენილების შემუშავებული პროექტები

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა ახალი საბაჟო კოდექსის პროექტზე. განხორციელდა იმპორტის გადასახადის საბაჟო კოდექსის პროექტში გადმოტანისა და საბაჟო ვალდებულების საგადასახადო ვალდებულებისაგან გამიჯვნა. მიმდინარეობს გერმანელი ექსპერტის მიერ მომზადებული ევროკავშირისა და საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტების შედარების დოკუმენტიდან პრობლემური საკითხების განხილვა და ქართული მხარისათვის მისაღები რეკომენდაციების ასახვა საბაჟო კოდექსის პროექტში. გარდა ამისა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ევროკავშირის საბაჟო კოდექსის იმ დებულებების თარგმნა და საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტში ასახვა, რომელზეც ასოცირების შეთანხმების შესაბამისად აღებული გვაქვს ჰარმონიზების ვალდებულება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შეთანხმების დადების მიზნით მოლაპარაკებების გამართვა შემდეგ სახელმწიფოებთან: მაროკო, საუდის არაბეთი, მოლდოვა, პოლონეთი; პარაფირებულ შეთანხმებებზე შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება შეთანხმების ხელის მოწერის მიზნით; ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებებში ცვლილებების შეტანის ოქმის გაფორმება პრიორიტეტულ სახელმწიფოებათან

პერიოდი: იანვარი - მარტი

პროგრესი: ძალაში შევიდა საქართველოსა და პორტუგალიას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება და საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ოქმი. ხელი მოეწერა შეთანხმებებს კვიპროსთან, ისლანდიასა და ლიხტენშტაინთან. შეთანხმების ტექსტი ბელარუსთან რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. გაიმართა მოლაპარაკებები და პარაფირებული იქნა შეთანხმების ტექსტები სამხრეთ კორეასთან და საუდის არაბეთთან, ხოლო შეთანხმება განახლებული იქნა პოლონეთთან.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.6 გლობალ ფორუმში (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - OECD) მონაწილეობასთან დაკავშირებით განსახორციელებლი ღონისძიებები

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: 2015 წლიდან საქართველო 3 წლის ვადით არჩეულია გლობალ ფორუმის ექსპერტთა ჯგუფში, რომლის მიზანია უზრუნველყოს გლობალ ფორუმის წევრ სახელმწიფოებში საგადასახადო გამჭირვალობა და ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;
გლობალ ფორუმის ექსპერტთა ჯგუფის განხილვებში აქტიური მონაწილეობა და იურისდიქციების შეფასება გლობალ ფორუმის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

2014 წლის დეკემბერიდან დაგეგმილია გლობალური ფორუმის მიერ საგადასახადო საკითხებში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს იურისდიქციის შეფასების მეორე ფაზა

პერიოდი: იანვარი - მარტი

პროგრესი: გლობალური ფორუმის მიერ საგადასახადო საკითხებში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში არსებული კანონმდებლობის პრაქტიკული იმპლემენტაციის დადგენის მიზნით შევსებული იქნა და გლობალური ფორუმის სამდივნოს მიეწოდა მეორე ფაზის კითხვარი. 20-24 აპრილს გლობალური ფორუმის ექსპერტ-შემფასებლები ადგილზე გაეცნენ საქართველოში არსებულ პრაქტიკას საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის სფეროში

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.7 საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა GIZ-ის დახმარების საფუძველზე, მათ შორის, ორმაგი დაბეგვრის შეთანხმებების გამოყენებაზე სახელმძღვანელოს მომზადება (handbook); „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმების ქართული პროექტის ანალიზი; გაფორმებული შეთანხმებების ანალიზი საქართველოში საგადასახადო ბაზის დაცვის კუთხით; ორმაგი დაბეგვრის შეთანხმების საფუძველზე შეღავათების მინიჭების ინსტრუქციის ანალიზი და საჭიროებისამებრ ცვლილებების განხორციელება აღნიშნულ ინსტრუქციაში, „ბენეფიციური მფლობელის“ კონცეფციაზე მუშაობა საერთაშორისო დაბეგვრის ჭრილში

პერიოდი: მარტი - დეკემბერი

პროგრესი: GIZ-თან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა საგადასახადო შეთანხმებების გამოყენების შესახებ 4 მოდულიანი კურსი. უცხოელ ექსპერტებთან ერთან მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს სამოდელო შეთანხმების და საქართველოს საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის ანალიზზე, ასევე ორმაგი დაბეგვრის შეთანხმებების გამოყენების შესახებ სახელმძღვანელოზე (handbook). უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადებული იქნა საქართველოს საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკისა და სამოდელო შეთანხმების ანალიზი, ასევე ანალიზი ჩაუტარდა საქართველოსა და ნიდერლანდების შორის, საქართველოსა და კვიპროსის შორის, საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული საემირობს შორის გაფორმებული შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თვიდან აცილების შესახებ შეთანხმებებს.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2. საგადასახადო და საბაჟო სისტემის სრულყოფა

2.1 ეფექტური საბაჟო კონტროლის პროცედურების ოპტიმიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა, ტექნიკის შეძენა; საბაჟო ლაბორატორიის შექმნა; მცენარეული სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის დანერგვა და განხორციელება; საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის პრინციპის საფუძველზე საბაჟო პროცედურების განხორციელება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის განხორციელებისთვის მოხდა საჭირო აღჭურვილობის შეძენა და სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებისთვის გადაცემა; განხორციელდა სასწავლო ვიზიტები ავსტრიაში, ლატვიასა და გერმანიაში, რომლის მიზანი იყო აღნიშნულ ქვეყნებში სასაზღვრო ინსპექტირების პუნქტების ინფრასტრუქტურასთან და შესაბამის პროცედურებთან გაცნობა; კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფიტოსანიტარებს ევროკავშირის ექსპერტების მიერ ჩაუტარდათ ტრეინინგები; დაინერგა სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების იმპორტის საბაჟო კონტროლის პროცედურები; კვლავაც მიმდინარეობს ერთიანი მართვის სისტემის პრინციპების შემუშავება ქართული და თურქული მხარეების მიერ საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის მიზნებისთვის.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.2 კინოლოგიური ცენტრის მუშაობის ეფექტურობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: კინოლოგიური ცენტრის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ძაღლების შეძენა/გაწვრთნა; ა/მანქანების შეძენა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დასრულდა საბაჟო-გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი“ სამსახურებრივი ძაღლებისთვის ვოლიერების მშენებლობა. საწვრთნელი ინფრასტრუქტურის და საიმიტაციო ადგილების მოსაწყობად კინოლოგიის სამმართველოს ორხევის სასწავლო ბაზას გადმოეცა 3300 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მიმდინარეობს ტერიტორიის დაგეგმარება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.3 ალტერნატიული აუდიტის პროგრამის დახურვა/აუდიტის დეპარტამენტის საკადრო რესურსების გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: პროგრამის დახურვა, აუდიტორების რაოდენობის 100 ერთეულით გაზრდა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ოფიციალურად გაუქმდა ალტერნატიული საგადასახადო შემოწმების პროექტი; პროექტის დახურვასთან დაკავშირებით მოხდა 67 აუდიტორის შტატის დამატება. დამატებით 83 გადის თეორიულ სწავლებას.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.4 დარგობრივ აუდიტზე გადასვლა/საქმიანობის დეცენტრალიზაცია რეგიონების ჭრილში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: დარგობრივ შემოწმებებზე გადასვლა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დაიწყო საგადასახადო შემოწმების განაწილება დარგების მიხედვით: ვაჭრობა, წარმოება, მშენებლობა, მომსახურება და სხვა; აუდიტის დეპარტამენტს საქართველოს მასშტაბით დაემატა 8 განყოფილება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.5 აუდიტის დეპარტამენტში მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მართვის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მართვის ელექტრონული სისტემის შექმნის მიზნით შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდა მისი შემადგენლობა. შეიქმნა ჯგუფის სამუშაო გეგმა.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.6 ერთიანი სახაზინო კოდის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დაიწყო პროგრამულ უზრუნველყოფის ტესტირება, სახაზინო სამსახურთან გაიმართა ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული სერვისები, განხორციელდა თანამშრომლების სწავლება/ინფორმირება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.7 მომსახურების სივრცეების ოპტიმიზაცია და საზოგადოების ინფორმირების ინსტიტუტის დახვეწა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამოქმედო გეგმისა და დასახვეწი საკითხების შემუშავება; მომსახურების ხარისხის კვლევა; ახალი ვებ-გვერდის შექმნა www.PRIVE.rs.ge; სტრატეგიის შემუშავება; call center-ებისთვის სამოქმედო გეგმის გაწერა/პროცედურების შემუშავება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ახალი ვებ-გვერდის „www.PRIVE.rs.ge„ შექმნა ტექნიკურად უზრუნველყოფილია; მიმდინარეობს PRIVE სერვისის სრულყოფისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის სტრატეგიის შემუშავება; მიმდინარეობს მუშაობა Call Center-ის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროცედურების გაწერაზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.8 გადამხდელთა რეგისტრაციის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის კორექტირებისათვის.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.9 სოციალურ ქსელში შემოსავლების სამსახურის გვერდის დახვეწა და უკეთ მორგება გადასახადის გადამხდელთა მოთხოვნებზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამსახურის ვებ-გვერდის მოდერნიზაცია

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დასრულდა მუშაობა უნარშეზღუდულ პირთათვის შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ვებ-გვერდის გახმოვანებაზე; მიმდინარეობს მუშაობა ვებ-გვერდის მოდერნიზებაზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.10 გადასახადის გადამხდელთა ცნობიერების ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო სისტემის არსისა და სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრებაში მისი როლის შესახებ სოციალური კლიპების გადაღება; შემოსავლების სამსახურის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შემცველი ბუკლეტების, ფლაერების, სტენდების მომზადება და მათი განთავსება გადამხდელთათვის ხელმისაწვდომ ადგილებში

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დაიბეჭდა შემოსავლების სამსახურის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შემცველი ბუკლეტები და ჟურნალები. აღნიშნული ბუკლეტები და ჟურნალები პერიოდულად ურიგდებათ გადამხდელებს, ასევე პერიოდულად ეწყობა სემინარები და ღია კარის დღეები გადამხდელებისთვის „საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგიის“ გაცნობის მიზნით. საგადასახადო კანონმდებლობის, საგადასახადო სამსახურის ფუნქციებისა და როლის, სერვისებისა და ინოვაციების შესახებ ცოდნის ამაღლებისა და ამ გზით სისტემაში მიმდინარე პროცესების სწორად და ადეკვატურად გაშუქების მიზნით გაიმართა ორი ტრენინგ-სემინარი ჟურნალისტებისთვის. ტრენინგ-სემინარში მონაწილეობა მიიღო 50-მდე ჟურნალისტმა.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.11 შემოსავლების სამსახურის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შემცველი ბუკლეტების, ფლაერების, სტენდების მომზადება და მათი განთავსება გადამხდელთათვის ხელმისაწვდომ ადგილებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბუკლეტების, ფლაერების და სტენდების მომზადება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს ყველა რაიონში სადაც სამსახური არ არის წარმოდგენილი სერვის ცენტრებით, გადამხდელთათვის ხელმისაწვდომ ადგილებში გამოკრულია სპეციალური საინფორმაციო ფურცლები დისტანციური მომსახურების მიღების შესაძლებლობის განმარტებით. მომზადდა და გადასახადის გადამხდელთათვის ხელმისაწვდომ ადგილებში განთავსდა შემოსავლების სამსახურის ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შემცველი ბუკლეტები, ფლაერები, სტენდები.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.12 ადამიანური რესურსების მართვის დახვეწა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შიდა რესურსების ბაზაზე ტრენინგების პოტენციალის შექმნა და შესაბამისი ტრეინინგების ჩატარების ორგანიზება: ელექტრონული სწავლების პროგრამის მეშვეობით თანამშრომელთა/სტაჟიორთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესის ორგანიზება; არსებული სამუშაო აღწერილობების განახლება; მომსახურების სტანდარტების დაცვაზე მონიტორინგი

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებულია სამუშაო აღწერილობის ფორმა, მიმდინარეობს შემოსავლების სამსახურის ახალი ფორმის შემუშავება/დახვეწა/შეჯერება, რომელიც შემდგომში მოდულის სახით დაემატება ``eHRMS`` ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემას. შემუშავებულია და ელექტრონული სწავლების პორტალის მეშვეობით დაინერგა ახალი სასწავლო კურსი, რომლის მიზანია თანამშრომლებისთვის მათი უფლებების, მოვალეობების, შეზღუდვების და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხების გაცნობა. მიმდინარეობს მუშაობა სამსახურის ორგანიზაციულ და მიზნობრივ საჭიროებებზე მორგებული თანამშრომელთა პროფესიული განვითარების 2016 წლის ტრენინგ-გეგმაზე. შემუშავებულია ტრეინინგ საჭიროებების შეფასების კითხვარი.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.13 საგადასახადო სფეროში ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლის პრაქტიკის დანერგვა და შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შეთანხმებების არეალის გაფართოება, ძირითად პარტნიორებთან მემორანდუმების ინიცირება და მათ ნაწილთან გაფორმება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა არგენტინასთან, ლატვიასთან და ნიდერლანდებთან ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ მემორანდუმი; მიმდინარეობს მუშაობა იტალიასთან გასაფორმებელ ინფორმაციის ავტომატური გაცვლის მემორანდუმებზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.14 გამჭვირვალეობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის II ფაზის წარმატებით გავლის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გლობალ ფორუმის მეორე ფაზის შეფასებაზე "ნაწილობრივ შესაბამისი" ან "შესაბამისი" ან "მეტწილად შესაბამისი" შეფასების მიღება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შეივსო II ფაზის კითხვარი; ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები გლობალ ფორუმის შემფასებელთა ვიზიტთან დაკავშირებით, რომლის მიზანია ინფორმაციის გაცვლის კუთხით არსებული სიტუაციის და პრაქტიკის შეფასება. 20-24 აპრილს შედგა მისიის ვიზიტი. მათ მიერ მომზადდა ინფორმაციის გაცვლის კუთხით არსებული სიტუაციის და პრაქტიკის შეფასების შესახებ ანგარიში. ამჟამად ქართული მხარის მიერ მზადდება კომენტარები აღნიშნულ ანგარიშზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.15 საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით - არსებული კანონმდებლობის შედარებით ანალიზში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი ცვლილებების იდენტიფიცირება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დასრულებულია მუშაობა ახალი საბაჟო კოდექსის პროექტის მომზადებაზე

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.16 ტრანზიტის საერთო და ერთიანი ადმინისტრირების დოკუმენტის თაობაზე კონვენციასთან მიერთების პროცესის დაწყება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: კონვენციების თარგმნა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: კონვენციები ნათარგმნია. დასრულდა მუშაობა ტრანზიტის საერთო პროცედურების შესახებ კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის შედარებით ანალიზზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.17 მგზავრებისთვის გათვალისწინებული აქციზის საგადასახადო შეღავათების ნაწილის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესის შესაბამისად

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: პროექტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა მგზავრებისთვის გათვალისწინებული აქციზის საგადასახადო შეღავათების ნაწილის პროექტი. Twinning პროექტის ფარგლებში მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პირველადი ვერსია.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.18 ასოცირების შეთანხმების შესაბამისად საგადასახადო კოდექსის დღგ–ს და აქციზის კანონმდებლობის დაახლოების მიზნით ცვლილებათა ანალიზი და "სამოქმედო გეგმის" შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ცვლილებათა ანალიზის განხორციელება და "სამოქმედო გეგმის" შემუშავებაში მონაწილეობის მიღება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: გამოიცა შედარებითი ანალიზი. USAID-ის დახმარებით შემუშავდა სამოქმედო გეგმა. ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უდნა იმუშაოს სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

III - მაკროეკონომიკური პროგნოზირება

1. მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება

1.1 ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება და მისი გამოყენება, შემოსავლებისათვის ელასტიურობის კოეფიციენტების შესწავლა, დღგ-ს ბაზის ანალიზი

პერიოდი: იანვარ-დეკემბერი

პროგრესი: გაუმჯობესებული პროგნოზის გამოყენებით, მომზადდა „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების და „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტებისათვის საშემოსავლო და მაკროეკონომიკური ნაწილები;

გაანგარიშებულ იქნა საგადასახადო პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების საგადასახადო შემოსავლებზე გავლენა; ასევე გრძელდება შემოსავლების პროგნოზების ახალი მეთოდების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა.

ყოველთვიურად მზადდება დღგ-ს ბაზის ანალიზი, დღგ-ს ბრუნვის მონაცემების მიღების და დამუშავების შედეგად.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, მაკროეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგების გაცნობა (რეგულარული განხილვების სისტემის დანერგვა), მაკროეკონომიკური მოდელების აღწერა

პერიოდი: იანვარ-დეკემბერი

პროგრესი: გაიზარდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არეალი;

სისტემატურად მიმდინარეობს საწარმოთა დეკლარირებული ბრუნვების ყოველთვიური კალენდარული კორექტირებული მონაცემების ანალიზი, დღგ-ს მონაცემთა ბაზის მიხედვით. აღნიშნული მონაცემები გამოიყენება მაკროეკონომიკური ანალიზისათვის.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 მაკროეკონომიკური მოდელირება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: დინამიური სტოკასტური საერთო წონასწორობის მოდელისთვის (DSGE) ტექნიკური სპეციფიკაციები, მაკროეკონომიკური მოდელის კვარტალური მოდიფიკაცია და სპეციფიკაცია

პერიოდი: იანვარ-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა დინამიური სტოკასტური საერთო წონასწორობის მოდელისთვის ტექნიკური სპეციფიკაციების შედგენაზე, იგეგმება ექსპერტის მოწვევა.

შენიშვნა: DSGE მოდელის განხორციელება გათვალისწინებული იყო უცხოელი ექსპერტის დახმარებით, რაც 2015 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა.

1.4 წარმოება-დანახარჯების (input-output) ცხრილების მომზადება და მისი მეშვეობით ეკონომიკური ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საბაზო მონაცემების იდენტიფიცირება, მონაცემების ურთიერთთავსებადობის მატრიცა, საბოლოო ცხრილის შედგენა, მატრიცის გამოყენება ანალიტიკური მიზნებისათვის და სცენარების შემუშავება შესაბამისი მეთოდოლოგიიის გამოყენებით

პერიოდი: იანვარ-დეკემბერი

პროგრესი: სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების გამოყენებით, მიმდინარეობს მუშაობა საბაზო მონაცემების იდენტიფიცირებაზე, ურთიერთთავსებადობის მატრიცის შედგენაზე და მეთოდოლოგიაზე.

შენიშვნა: წარმოება-დანახარჯების მატრიცაზე მუშაობა დაწყებულია. მიზანშეწონილია აღნიშნული გააგრძელოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა.

1.5 ფისკალური პოლიტიკის პერიოდული ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: კვარტალური დეფიციტის მონიტორინგი, სტრუქტურული დეფიციტის შესწავლა, სტრუქტურული დეფიციტის მეთოდოლოგია, ბიუჯეტის ყოველთვიური დეფიციტის მონიტორინგი

პერიოდი: იანვარ-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა სტრუქტურული დეფიციტის მეთოდოლოგია.

შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, დაანგარიშებულ იქნა 2014 წლის სტრუქტურული დეფიციტი; მიმდინარეობს 2015 წლის ყოველთვიური დეფიციტის მონიტორინგი; ასევე დაანგარიშებულ იქნა 2016 წლის სტრუქტურული დეფიციტი.

შენიშვნა: დასრულებულია

1.6 ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდული ანალიზი და გავრცელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

პერიოდი: იანვარ-დეკემბერი

პროგრესი: ყოველთვიურად მზადდება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე თავსდება ანალიტიკური და ინფორმაციული მასალა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.
მომზადდა 2015 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის ეკონომიკური მიმოხილვა, რომელიც მოიცავს თემებს:

1.მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები (მშპ-ს დინამიკა, ფასები, ლარის გაცვლითი კურსი, უმუშევრობის დონე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საგარეო ვაჭრობა, მიმდინარე ანგარიშის ანალიზი, საკრედიტო რეიტინგი და სხვა);
2. ეკონომიკის მოკლე მიმოხილვა (ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფო ფინანსები, ბიზნეს სექტორის ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება);
3. საქართველო და მეზობელი ქვეყნები;
4. ეკონომიკური აქტივობის ანალიზი დარგობრივ ჭრილში;
5. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი და სხვა.

ქვეყნის მიმდინარე ეკონომიკური განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე გადაიხედა და ხელახლა შეფასდა ფისკალური მულტიპლიკატორი;
შეფასდა გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი სესხებისა და დეპოზიტების მფლობელებზე;
შეფასდა საკრედიტო გეპი და მომზადდა ანალიზი.

შენიშვნა: დასრულებულია

1.7 ბიუჯეტის გამოქვეყნება ფუნქციონალური კლასიფიკაციის გამოყენებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ბიუჯეტის სტატისტიკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება

პერიოდი: იანვარ-დეკემბერი

პროგრესი: ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (http://mof.ge/4885)

შენიშვნა: დასრულებულია

2. ფისკალური რისკების გამოვლენა და შეფასება

2.1 ფისკალური რისკების გამოვლენის და შეფასების სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მაკროეკონომიკური რისკების მეთოდოლოგია, ვალთან დაკავშირებული რისკების მეთოდოლოგია, სახელმწიფო საწარმოებიდან მონაცემების მიღების სისტემა, კვაზი-ფისკალურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მონაცემების მიღების სისტემა, კვაზი-ფისკალური საწარმოების რეესტრი, პირობითი ვალდებულებების რეესტრი, ფისკალური რისკების შეფასებისათვის სახელმძღვანელოს შემუშავება

პერიოდი: იანვარ-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა მაკროეკონომიკური რისკების მეთოდოლოგია; მომზადდა „ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების 2014-2018წწ. ანალიზი“ (დოკუმენტი SFR 14.01); მომზადდა ფისკალური რისკების 2015-2019 წწ. ანალიზის დოკუმენტი, რომელიც დაერთო 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს;

სახელმწიფო საწარმოებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, შეფასდა ფისკალური რისკები შემუშავებულია საპენსიო რეფორმის დიზაინის კონცეფცია, მომზადებულია რეფორმის განხორციელების სამოქმედო გეგმის მონახაზი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან; ფისკალური რისკების „სამოქმედო სახელმძღვანელოს“ შემუშავებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მოწვეულ იქნა ექსპერტი. მიმდინარეობს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება სახელმძღვანელოს პროექტზე მუშაობისას. **შენიშვნა:** დასრულებულია

IV - სახელმწიფო ვალის მართვა

1. სახელმწიფო ვალის მართვის გაუმჯობესება

1.1 სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის დამტკიცება **პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი **შესრულების მაჩვენებელი:** დამტკიცებული დოკუმენტი **პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი **პროგრესი:** მიმდინარე წლის ივნისში სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის პროექტი განხილულ იქნა ფინანსთა სამინისტროს სათათბირო საბჭოზე. საბჭომ მოიწონა წარმოდგენილი დოკუმენტი და რეკომენდაცია გასცა დოკუმენტის სრულყოფისთვის მუშაობის გაგრძელებაზე, რის შემდეგაც დოკუმენტის პროექტი შენიშვნების და მოსაზრებებისთვის გაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს, სახელმწიფო აუდიტის ოფისს, ეროვნულ ბანკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს. ამჟამად მიმდინარეობს წარმოდგენილი კომენტარების გაანალიზება. სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის დასრულება დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლომდე. **შენიშვნა:** მიმდინარეობს

1.2 სახელმწიფო ვალის მართვაში ანალიტიკური ნაწილის გაძლიერება (middle office) **პასუხისმგებელი სტრუქტურა:** სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი **შესრულების მაჩვენებელი:** სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ვალის მართვის ანალიტიკური ნაწილის ფუნქციურ გაძლიერებას **პერიოდი:** იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე წლის ივნისში ფინანსთა სამინისტროს სათათბირო საბჭოზე მოწონებულ იქნა სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ანალიტიკური ფუნქციების (Middle Office) გაძლიერების ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა. საბჭომ რეკომენდაცია გასცა აღნიშნული დოკუმენტის სრულყოფისათვის შემდგომი სამუშაოების გაგრძელებაზე.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს დაერთვება სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებული დოკუმენტი

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ისევე, როგორც, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსაც დაერთო სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზი, რომელიც წინა 2015 წლის ვერსიისგან განსხვავებით უფრო სრულყოფილია (მოხდა მეთოდოლოგიის დახვეწა და გაცხადდა ანალიზისთვის გამოყენებული დაშვებები).

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 სახელმწიფო ვალის მართვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკების, გამოცდილების და არსებული ტენდენციების დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ვალის მართვის შემდგომი გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2015 წლის მარტში ფინანსთა სამინისტროს მოწვევით საქართველოში იმყოფებოდნენ მსოფლიო ბანკის ექსპერტები, მისიის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო ვალის მართვის საკითხებში რეფორმების გეგმის შემუშავება. სამუშო სესიების მიმდინარეობისას განხილული იქნა: სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგია, რისკების ანალიზი, სახელმწიფო ვალის კანონი, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ადგილობრივი ბაზრის განვითარება. (აღნიშნული ვიზიტი წარმოადგენდა 2013 წლის აგვისტოში მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულ „ვალის მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემის“ (Debt Management Performance Assessment (DeMPA)) მომდევნო ეტაპს.)

სახელმწიფო აუდიტის მიერ 2014 წელს ჩატარებული „სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტის“ რეკომენდაციების გათვალისწინებით და მსოფლიო ბანკის ზემოხსენებული რეფორმების გეგმის შესაბამისად:

- მომზადდა სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონის ცვლილების პროეტი;

- 2015 წლის აპრილში შევიდა ცვლილება „ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ერთობლივ დებულებაში“, რომელიც გულისხმობს 2015 წლიდან სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიის შედეგად შემოსული თანხების აღრიცხვის ცვლილებას, კერძოდ შემოსული პრემიის ვალის ნაშთში ასახვის და შემდგომ სახაზინო ობლიგაციების კუპონის თანხების გადახდასთან ერთად მისი ეტაპობრივი ამორტიზაციის საკითხს. აღნიშნული ცვლილებით, ფასიანი ქაღალდების ემისიიდან შემოსული თანხების აღრიცხვა შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოსთან.

ასევე, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. ბუქარესტში სადაც გაეცნენ რუმინეთის მთავრობის ვალის მართვის პრაქტიკას. სამომავლოდ დაგეგმილია ორ ქვეყანას შორის მთავრობის ვალის მართვის საკითხებში თანამშრომლობის გაგრძელება, კერძოდ რუმინეთის ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები ჩამოვლენ საქართველოში და ადგილზე გამართავენ სამუშაო სესიებს.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობა

2.1 საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სარეიტინგო კომპანიების მისიები და მათ მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოში იმყოფებოდნენ სარეიტინგო სააგენტო Moody's-ის წარმომადგენლები, შეხვედრები გამართეს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. ანგარიში საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის შესახებ გამოქვეყნდა 2015 წლის მარტსა და სექტემბერში, საქართველოს შეუნარჩუნდა Ba3 რეიტინგი, ხოლო პერსპექტივა პოზიტიური მიენიჭა.

მიმდინარე წლის აპრილში Fitch-ის ანალიტიკოსებმა, კონსულტაციები გამართეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან, რის შემდეგაც გამოქვეყნდა ანგარიში რომლის მიხედვითაც საქართველოს BB- რეიტინგი ხოლო პერსპექტივა სტაბილური მიენიჭა, ხოლო სექტემბრის თვეში Fitch-ის ანალიტიკოსები სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდნენ საქართველოში, მიმდინარე წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა ანგარიში, საქართველოს კვლავ BB- რეიტინგი ხოლო პერსპექტივა სტაბილური მიენიჭა.

მიმდინარე წლის მაისში Standard and Poor's-ის მისიის წევრებმა შეხვედრები გამართეს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რის შემდეგაც გამოქვეყნდა ანგარიში, საქართველოს რეიტინგი BB- სტაბილური მიენიჭა. ასევე 2015 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა ანგარიში საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის შესახებ რის მიხედვითაც საქართველოს შეუნარჩუნდა BB- რეიტინგი, ხოლო პერსპექტივა სტაბილური.

შენიშვნა: დასრულებულია

3. ევროინტეგრაცია

3.1 ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესრულების კოორდინაცია ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა ასოცირების შეთანხმების განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 9 თვის ანგარიში. ამასთანავე მიმდინარეობს მუშაობა 2016 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

V - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების (IPSAS 13, IPSAS 19, IPSAS 22, IPSAS 23, IPSAS 24) დანერგვა

1.1 IPSAS მოთხოვნების გაანალიზება და არსებულ პრაქტიკასთან მიმართებაში ძირითადი შეუსაბამობების გამოვლენა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტებთან შეუსაბამობების შესახებ მომზადებული ანგარიში

პერიოდი: იანვარი-ივნისი

პროგრესი: დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვისა და ზოგადად, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განხორციელდა IPSAS 13, IPSAS 19, IPSAS 22, IPSAS 23 და IPSAS 24-ის შესწავლა და ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით. ანალიზის პროცესში გამოვლინდა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შეუსაბამობები. ევროკავშირის დაფინანსების ფარგლებში, სახაზინო სამსახურის ანგარიშგების და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები IPSAS შესაბამის სტანდარტებში.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ცვლილებების/განახლებული ვერსიების მომზადება, შეთანხმება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსთან და დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ დამტკიცებული ნორმატიული აქტები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვის მიზნით განხორციელებული ანალიზის შედეგად, გამოვლენილ შეუსაბამობებთან დაკავშირებით მომზადდა აღრიცხვის და ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების ცვლილებების პროექტები. წლის ბოლომდე იგეგმება აღნიშნული პროექტების შეთანხმება საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს წევრებთან/საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ფინანსთა მინისტრის ბრძანებების სახით დამტკიცება. აღრიცხვის და ანგარიშგების განახლებული მეთოდოლოგიის ამოქმედება იგეგმება 2016 წლის 1 იანვრიდან.

შენიშვნა: ნაწილობრივ დასრულებულია

1.3 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრების დატრენინგება აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: საბიუჯეტო ორგანიზაციების დატრენინგებული ბუღალტრები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2015 წლის 1 იანვრიდან დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების (IPSAS 2, IPSAS 3, IPSAS 4, IPSAS 6) დანერგვის შედეგად, აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, შემუშავდა ტრენინგის პროგრამა და მეთოდოლოგია., რომელიც ითვალისწინებდა IPSAS 2, IPSAS 3, IPSAS 4, IPSAS 6 სტანდარტების მოთხოვნების გაცნობას მსმენელებისათვის, ასევე, მეთოდოლოგიაში განხორციელებული სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების სწავლებას. 2015 წლის აპრილიდან ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ განხორციელდა საჯარო სექტორის ბუღალტრების გადამზადება აღნიშნული ტრენინგ-პროგრამის შესაბამისად.

შენიშვნა: დასრულებულია

2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის განვითარება

2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მომსახურების მოდულის შემდგომი დახვეწა და მორგება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მომსახურების განახლებული მოდული

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2015 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის ბაზაზე ამოქმედდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და ავტონომიური რესპუბლიკების მომსახურების მოდული. ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა აღნიშნული მოდულის დახვეწასა და მორგებაზე მუშაობა.

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის სსიპ-ების მომსახურების მოდულის დახვეწა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სსიპ-ების მომსახურების განახლებული მოდული

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2015 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის ბაზაზე ამოქმედდა სსიპ-ების მომსახურების მოდული. ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა აღნიშნული მოდულის დახვეწასა და მორგებაზე მუშაობა

შენიშვნა: დასრულებულია

2.3 ხაზინის მთავარ წიგნში დარიცხვის ოპერაციების შესაბამისი მოდულების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ხაზინის მთავარ წიგნში შემუშავებული დარიცხვის ოპერაციების შესაბამისი მოდულები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ხაზინის მთავარ წიგნში გადასახადების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის მიზნით, განხორციელდა ბიზნეს პროცესების ანალიტიკა. ერთიანი საგადასახადო კოდის ფარგლებში, მიმდინარეობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება. გადასახადების აღრიცხვის მოდულის ამოქმედება იგეგმება 2016 წლის 1 იანვრიდან.

შენიშვნა: ნაწილობრივ დასრულებულია

2.4 საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლების დატრენინგება განახლებული პროგრამული უზრუნველყოფის მოხმარების მიზნით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: საბიუჯეტო ორგანიზაციების დატრენინგებული წარმომადგენლები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: განხორციელდა საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლების დატრენინგება სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის განახლებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში.

შენიშვნა: დასრულებულია

3. ფულის მართვის მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება

3.1 სახაზინო სამსახურის მიერ ფულის მართვის მექანიზმების და ინსტრუმენტების შემუშავება და სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული ფულის მართვის მექანიზმები და ინსტრუმენტები და მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფულის მართვის მექანიზმების შემუშავებისა და ამოქმედების მიზნით, 2015 წლის იანვარ-თებერვალში შეიქმნა სახაზინო სამსახურის ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი - ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტი, რომლის კომპეტენციაში, სხვა ფუნქციებთან ერთად, შედის ხაზინის ანგარიშებზე ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზირება, ფინანსური ბაზრის ანალიზი, ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევა, განთავსება და მონიტორინგი. აღნიშნული დეპარტამენტი დაკომპლექტდა კონკურსის შედეგად შერჩეული კადრებით.

ფულადი სახსრების ეფექტური პროგნოზირებისა და მართვის მიზნებისათვის, განხორციელდა ფულადი სახსრების ნაშთების, შემოსულობებისა და გადასახდელების ისტორიული მონაცემების შეგროვება და დამუშავება და ასევე მხარჯავ დაწესებულებებთან ინფორმაციის გაცვლა სამომავლო სავარაუდო ხარჯვის შესახებ.

ასევე, 2015 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა საინფორმაციო სისტემა „ბლუმბერგის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა, გამოცდილების გაზიარების მიზნით და შეძენილ იქნა ე.წ. ბლუმბერგის ერთი სამუშაო ადგილი.

გარდა ამისა, მიმდინარეობს სათანადო საკანონდებლო აქტ(ებ)ის მომზადება/ დამუშავება, რომლითაც უნდა განისაზღვროს თავისუფალი ფულადი სახსრების, რისკების, ბანკების, ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმები.

შენიშვნა: მიმდინარეობს

3.2 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში ფულის მართვის მოდულის ანალიტიკა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტი და შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფულის მართვის მოდულის ანალიტიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მიზნით, მიმდინარეობს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის, ბაზრებზე არსებული, აპრობირებული სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების შესწავლა, როგორიცაა მაგალითად „Wallstreet Suite". პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების შესწავლის მიზანია გაანალიზდეს, თუ რამდენად შეესაბამება სხვადასხვა სისტემები სახაზინო სამსახურის საჭიროებებს ფულის მართვის მიმართულებით და რამდენად შესაძლებელია მათი ინტეგრირება სახაზინო სამსახურის საინფორმაციო სისტემაში, აგრეთვე, თუ რამდენად შესაძლებელია ფულის მართვის მოდულის ანალიტიკური, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება შიდა რესურსების საშუალებით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

VI - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა

1. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღელება

1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა

პერიოდი: თებერვალი- ივნისი

პროგრესი: სტრატეგიული ხედვის დოკუმენტის შემუშავებას წინ უძღვის ხარვეზების და საჭიროებათა ანალიზი, რომელიც ნაწილი OECD/SIGMA-ს ექსპერტების მიერ 2015 წლის 29 ივნისს იქნა მოწოდებული. ანალიზის მომზადების პროცესში, OECD/SIGMA-ს საერთაშორისო ექსპერტები იუპ ვროლიკი და ნოელ ჰეპვორტი რამოდენიმე ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოში და შეაფასეს საჯარო სექტორში არსებულ მდგომარეობა ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: შიდა აუდიტი, ფინანსური მართვა და კონტროლი,

ინსპექტირება, ჰარმონიზაციის ცენტრი. აგვისტოდან დაიწყო დოკუმენტზე მუშაობა OECD/SIGMA-ს მიერ მოწოდებული სარჩევის მიხედვით. პირველი ვერსია გაგზავნილ იქნა ექსპერტებისთვის.

შენიშვნა: ხარვეზების ანალიზის მოწოდების დაგვიანების გამო, აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება განხორციელდება წლის ბოლომდე, ხოლო დასამტკიცებლად წარედგინება მთავრობას საგაზაფხულო სესიაზე (თებერვალში).

1.2 ჰარმონიზაციის ცენტრის წლიური ანგარიშის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული წლიური ანგარიში

პერიოდი: თებერვალი - აპრილი

პროგრესი: შემუშავებულია ჰარმონიზაციის ცენტრის 2014 წლის ანგარიში, ატვირთულია ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა შიდა აუდიტორთათვის.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების შესახებ ცნობადობის ასამაღლებელი კონფერენციის ორგანიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებული კონფერენცია

პერიოდი: სექტემბერი-ოქტომბერი

პროგრესი: 21 ივლისს განხორციელდა კონფერენცია საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის მხარდაჭერით. (მეთოდოლოგია, სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო)

შენიშვნა: დასრულებულია

2. შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარება და ეფექტური ფუნქციონირება

2.1 ტრეინინგების ორგანიზება შიდა აუდიტორებისათვის

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული ტრეინინგები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-თან ერთად განხორციელდა ტრენინგების დაგეგმვა, რომელიც ეტაპობრივად სრულდება. ამ დროისათვის განხორციელებული ტრენინგებია:

5-8 მაისი - შიდა აუდიტის საფუძვლები - 25 შიდა აუდიტორისათვის;

16-18 ივნისი - სისტემური აუდიტი - 25 შიდა აუდიტორისათვის;

სსიპ ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრთან კომუნიკაციის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შიდა აუდიტის სუბიექტებისთვის დაიგეგმა „შიდა აუდიტის საფუძვლების“ ტრეინინგი, რომელიც არსებული ტრენერების და სატრეინინგო მასალის მეშვეობით განხორციელდა. ამჟამად, ჩატარდა 5 ოთხ დღიანი ტრეინინგი 140-მდე მონაწილისთვის.

9-10 სექტემბერი-ეთიკა და კორუფციის პრევენცია საჯარო სამსახურში-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 25 შიდა აუდიტორისათვის;

22-25 სექტემბერი ადამიანური რესურსების მართვის აუდიტი, შესყიდვების პროცესის აუდიტი-აღმასრულებელი ხელისუფლების 15 შიდა აუდიტორისათვის;

29 სექტემბერი-1 ოქტომბერი-თაღლითობის რისკის აუდიტი, ინფორმაციის მართვის აუდიტი, კორპორაციული მართვის აუდიტი-აღმასრულებელი ხელისუფლების 15 შიდა აუდიტორისათვის;

28-30 ოქტომბერი-ეფექტიანობის აუდიტი-აღმასრულებელი ხელისუფლების 22 შიდა აუდიტორისათვის;

30 ნოემბერი- 3 დეკემბერი - შიდა აუდიტის საფუძვლების ტრეინინგი 15 შიდა აუდიტორისთვის;

7 - 10 დეკემბერი - შიდა აუდიტის საფუძვლების ტრეინინგი 15 შიდა აუდიტორისთვის.

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის პილოტურ რეჟიმში დატესტვა და გადამუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებული სამუშაო შეხვედრა და მიღებული შენიშვნების შედეგად ჩასწორებული დოკუმენტი

პერიოდი: მარტი - აგვისტო

პროგრესი: აღნიშნული მეთოდოლოგიური დოკუმენტი დაბეჭდილია, ატვირთულია საიტზე www.ia.ge და გავრცელებულია, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შიდა აუდიტორთათვის. განხორციელდა 21 ივლისის კონფერენციაზე მეთოდოლოგიური დოკუმენტების პრეზენტაცია. დეკემბრის თვეში იგეგმება სამუშაო შეხვედრა შიდა აუდიტორებთან, ვისაც უშუალოდ საქმიანობის პროცესში უნდა გამოეცადათ დოკუმენტის ვალიდურობა და წარმოედგინათ შენიშვნები. შეხვედრის დროს მოხდება მეთოდოლოგიური დოკუმენტის გადამუშავება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.3 უცხოელი ექსპერტის და ჰარმონიზაციის ცენტრის მხარდაჭერით ორი საპილოტე აუდიტის ორგანიზება სხვადასხვა დაწესებულებებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: შიდა აუდიტორული ანგარიში

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: პილოტური სისტემური აუდიტი განხორციელდა საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, რომელიც გერმანიის საერთშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის მხარდაჭერის ფარგლებში მიმდინარეობდა. შემუშავებულია შიდა აუდიტორული ანგარიშები. დამატებით, მიმდინარეობს 2 ეფექტიანობის აუდიტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის სუბიექტებში, აღნიშნული ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში. ამასთან ერთად კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში მიმდინარეობს პილოტური ფინანსური აუდიტი. მიმიდნარე პროექტების დასრულება იგეგმება მარტის თვეში.

შენიშვნა: დასრულებულია

3. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა და ეფექტური ფუნქციონირება

3.1 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცება და პოპულარიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია; განხორციელებული ცნობადობის ასამაღლებელი შეხვედრა

პერიოდი: თებერვალი - აპრილი

პროგრესი: ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბდა თებერვალში. ამა წლის 26 მარტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათათბირო საბჭომ, ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით, განიხილა და მოიწონა ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის პროექტი და გადაწყვიტა, რომ ჰარმონიზაციის ცენტრს დაევალოს შემდგომი კონსულტაციების გამართვა დაინტერესებულ მხარეებთან აღნიშნული ინსტრუქციის საპილოტე სამინისტროებში დანერგვის მიზნით. ასევე, განხორციელდა მისი პოპულარიზაცია, დაინტერესებულ პირებთან დაგზავნა და ვებ-გვერდზე ატვირთვა.

შენიშვნა: დასრულებულია

3.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარების მხარდაჭერა ოთხ საპილოტე დაწესებულებაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: განხორციელებული სამუშაო შეხვედრები და პილოტური პროექტის ანგარიში

პერიოდი: აპრილი - დეკემბერი

პროგრესი: ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა ინსტრუქცია „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ“ რომელიც დაეგზავნათ სამინისტროებს პროექტში მონაწილეობის სურვილის გამოთქმის მიზნით. ჩატარდა რეფორმაში მონაწილეობის მსურველი სამინისტროების სტრუქტურული ანალიზი, რის შედეგადაც შეირჩა 4 საპილოტე სამინისტრო: საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროები.

OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან ერთად შემუშავდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის პირველი ეტაპის სამოქმედო გეგმა. მიმდინარეობს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით.

შენიშვნა: დეკემბრის ბოლომდე არის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილი, შესაბამისად დასრულდება წლის ბოლოს.

VII - ინფორმაციული ტექნოლოგიები

1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სისტემაში კრიზისული რეჟიმის ფარგლებში, თვიურად წინა წლის გეგმის 1/12-ის ხარჯვის ფუნქციონალის უზრუნველყოფა; მექანიზმების დამატება, რომლებიც გააადვილებს ბიუჯეტის ანალიზს (მონაცემების შედარებითი ანალიზი, მოდელირების ხელსაწყოები, ისტორიული მონაცემების ანალიზი, კომპლექსური ანგარიშგების მექანიზმი); ფუნქციონალის დამატება, რომლითაც მოხდება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ყველა საფეხურის მომზადება; ერთიანი მთავრობის შესრულების დოკუმენტის მოსამზადებელი ეტაპების შესაბამისი ფუნქციონალის შექმნა; ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის დელეგირება პირველი დონის მხარჯავ დაწესებულებების შიგნით

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ა.წ. 5 იანვარს განხორციელდა რეფორმა, რომელის მეშვეობითაც სსიპებს, ააიპებს, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს, სისტემის გამოყენებით, საკუთარი ბიუჯეტების დაგეგმვისა და შემდგომი დაზუსტებების საშუალება მიეცათ.

სისტემას შეემატა ორი ახალი ფუნქციონალი:

(1) ხარჯთაღრიცხვის ცნობების დამტკიცების დელეგირება - ფუნქციონალის მეშვეობით სსიპების წარმომადგენლები თავად ახერხებენ საკუთარი მხარჯავი დაწესებულების ფარგლებში განხორციელებული საკუთარი სახსრების წყაროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების დამტკიცებას.

(2) სამიზნე ბიუჯეტის გატანა აქტის ქვედეტალებში - ფუნქციონალის მეშვეობით სხვა დონის ბიუჯეტებისთვის გამოყოფილი ტრანსფერების დაგეგმვის ეტაპზე შესაძლებელი გახდა ნორმატიული აქტიდან სხვადასხვა სამიზნე ბიუჯეტისთვის გამიზნული თანხების ერთი ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობით დაგეგმვა, რისთვისაც ფუნქციონალის დამატებამდე მრავალი ცნობის გაკეთება იყო აუცილებელი.

გარდა ამისა, ჩატარდა ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები:

შეიცვალა შრომის ანაზღაურების დაგეგმვის ფუნქციონალი, რის შედეგადაც სხვადასხვა დაფინანსების წყაროში დაგეგმილი მომუშავეთა რიცხოვნობის გამიჯნულად აღრიცხვა გახდა შესაძლებელი. ასევე, დანამატიდან გამოეყო წელთა ნამსახურევის დანამატი, რომლის შევსებაც ცვლილებების შემდეგ თანამდებობების მიხედვით განხორციელდება. ამ ცვლილებებთან ერთად, გადაკეთდა თავად ანაზღაურების ფორმა და შეიცვლა ველების შემადგენლობაც.

დაიხვეწა სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების შესრულების ანგარიშგება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა შემოსულობებისა და ნაშთების ფაქტობრივი მონაცემების იმპორტი ხაზინის სისტემიდან.

ჩატარდა სამი იტერაცია, რომლის ფარგლებშიც გასწორდა რეფორმის ეტაპზე დაგროვილი ხარვეზების 80% (150-ზე მეტი მაღალი და საშუალო პრიორიტეტის ხარვეზი).

ჩატარდა კანონში ცვლილების შესაბამისი სამუშაოები როგორც სატესტო, ასევე რეალურ გარემოში. ამ ცვლილებების ფარგლებში სისტემაში დაემატა სამი ახალი მხარჯავი დაწესებულება და დანარჩენებში შეიცვალა როგორც სტრუქტურული, ასევე თანხობრივი მონაცემები.

რეფორმის ფარგლებში, სისტემაში ჩართული ბიუჯეტების რაოდენობის მკვეთრი ზრდის შედეგად შენელებული რიგი ოპერაციების (ფაილების კოპირება, ფორმებისა და ანგარიშგებათა დოკუმენტების ჩატვირთვა, ცნობების დამტკიცება და სხვა) აჩქარების მიზნით, ჩატარდა ტექნიკური ოპტიმიზაციის სამუშაოები. შედეგად სისტემის მუშაობა ყველა იმ წერტილში, რომელთა ოპტიმიზაციაც იგეგმებოდა, საგრძნობლად აჩქარდა.

შეიცვალა მომუშავეთა რიცხოვნების ასახვის ლოგიკა სხვადასხვა ანგარიშგებასა და ფორმაზე.

გადაკეთდა ხაზინიდან შემოსულობების შესაბამისი შესრულების მონაცემების იმპორტის ფუნქციონალი.

პროგრამული ბიუჯეტის ფორმაში ინდიკატორის შესაყვანი ერთი ველის მაგივრად ჩაემატა ცხრილი და შესაბამისად შეიცვალა ის ანგარიშგების დოკუმენტებიც, რომლებიც იყენებდა შუალედურ და საბოლოო ინდიკატორებს.

სპეციალური უფლების გამოყენებით მომხმარებელს შეუძლია მიზნობრივი გრანტის ცნობაში ხაზინის ჩამორიცხვებთან და კონვერტაციებთან კონტროლის გათიშვა. ამის მიზეზი გახდა ხაზინის სისტემაში მიზნობრივი გრანტის პირდაპირი ჩარიცხვების რეგისტრაციის საჭიროება.

მოთხოვნილი ანგარიშგების დოკუმენტის სპეციფიკა დინამიური ანგარიშგებების ფუნქციონალის შესაძლებლობებს ცდება, ამიტომ საჭირო გახდა მისი შესაბამისი სტატიკური ანგარიშგების დოკუმენტის შემუშავება.

შემუშავდა განაცხადში და დინამიურ ანგარიშგებებში ხაზინის ტრანსფერების ასახვის ფუნქციონალი.

განხორციელდა ნოემბრის თვეში განხორციელებული კანონში ცვლილების მხარდაჭერისა და გასულ სამუშაო პერიოდებში ღონისძიებების მიგრაციასთან დაკავშირებული სამუშაოები.

შემუშავდა ნორმატიული აქტების რეესტრში წინა წლებში გამოსული აქტების ფარგლებში სახარჯი ნაშთების გამოთვლისა და ახალ სამუშაო პერიოდში მათი გადატანის, ნორმატიულ აქტში სამიზნე ბიუჯეტებისთვის გეგმის რესურსის გამინუსების და აქტში რესურსის აღმდგენი ცნობების ვალიდაციის გარეშე გატარებისა და ბიუჯეტის დაზუსტების ფაზის ძირითადი სცენარების ავტომატური რეგრეს ტესტირების ფუნქციონალები.

ჩატარდა სისტემის წარმადობისა და რიგი ოპერაციების შესრულების ხანგრძლივობის გასაუმჯობესებელი ტექნიკური სამუშაოები, რის ფარგლებშიც აჩქარდა წლიურ და კვარტალურ ფაილებზე მოქმედი ოპერაციები, ხოლო დინამიურ ანგარიშგებათა გენერირების დრო შემცირდა ოთხჯერ.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შესყიდვების პროცესის მოდერნიზაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების შესყიდვის ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების ავტომატიზაცია

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სისტემის ბექ-ოფისის მულტისავალუტო მოდულის ფარგლებში მოხდა ცვლილება ოპერაცია „გარედან ვალუტაზე“ და „უკუკონვერტაციაზე“. შეიცვალა „სსიპ-ის თანხის დაბრუნების“ ოპერაცია და ათნიშნა ანგარიშებზე რესურსების ზრდა/კლების ლოგიკა ოპერაციის ტიპების მიხედვით.

სისტემას დაემატა ანგარიშზე თანხის დაბლოკვა/განბლოკვის სქემა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ანგარიშზე ხელმისაწვდომი რესურსისა და ბალანსის დადგენა ახალი ლოგიკით.

მხარჯავების პორტალს დაემატა ახალი მონიშვნის ფუნქციონალი, რომელიც გულისხმობს ერთ გვერდზე ჩატვირთული დოკუმენტების მონიშვნას და, შესაბამისად, მონიშნულებზე გარკვეული ოპერაციების განხოციელებას.

სისტემის შუალედურ შრესა და ბექ-ოფისს დაემატა შემდეგი ახალი ანგარიშგებები: „პერიოდებს შორის გეგმისა და ფაქტის შედარება (ადგილობრივებისთვის)“, „პერიოდებს შორის გეგმისა და ფაქტის შედარება (ავტონომიურებისთვის)“, „პერიოდს შიგნით გეგმის და ფაქტების შედარება“, „ერთიანი ბიუჯეტის გადასახდელები“, „გასანაღდებელი ხარჯები“ და სხვა.

სისტემის მხარჯავების პორტალზე არსებულ ზოგიერთ ანგარიშგებას, ასევე ბექ-ოფისის საოპერაციოს ჩანართზე არსებულ ფილტრებს დაემატა ახალი ფილტრი „დაფარვის წყარო“.

ხელფასების მოდულს დაემატა ფაილის ატვირთვით შვებულების ანაზღაურების ფუნქციონალი.

საფინანსო უწყების პორტალზე შეიცვალა დავალებების ძებნის გვერდზე მონაცემების ფილტრაციის ლოგიკა.

ბექ-ოფისში დაემატა რესურსების კონტროლის, ფულის კონტროლის, გადასახდელების ფუნქციონალური შესრულების, ნორმატივების გატარებების, CPV-ების და სხვა ახალი ანგარიშგებები და ახალი ფილტრები. შეიცვალა არსებული ფილტრების მუშაობის პრინციპი. CPV-ების ანგარიშგებები დაემატა მხარჯავების პორტალზეც. საფინანსო უწყებისა და მხარჯავების პორტალის ზოგიერთ ანგარიშგებაში, ასევე საიდუმლო მოთხოვნების შესაბამის საგადახდო დავალებაში შეიცვალა ველების გენერირების ლოგიკა.

ბექ-ოფისში დაემატა ახალი ოპერაცია, „დღგ-ს დაბრუნება“. ასევე, განხორციელდა არსებული ოპერაციის „გადასახადის გადატანა სახიდან სახეში“ მოდიფიცირება.

ბექ-ოფისში მულტისავალუტო ტაბიდან კონვერტაციის ჩამოწერის პროცესს დაემატა ახალი ვალიდაცია. ამავე მოდულში განხორციელდა რესურსის კონტროლისა და ტრანსფერის გადმორიცხვის ვალიდაციების ცვლილება. მხარჯავის პორტალის დეპოზიტის ოპერაციებს დაემატა ახალი ვალიდაცია.

სისტემას დაემატა თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი გრანტების ფარგლებში, ნორმატიული აქტის შესაბამისად, ღონისძიებების დაფინანსების სქემაში, ვალდებულებაზე (განაცხადზე) დეტალების ფაილით და მოთხოვნების პაკეტურად ატვირთვის ახალი ფუნქციონალი.

შესაძლებელი გახდა საინკასო სქემის პროცესის გამოყენება სსიპ-ებსა და რაიონებზე; ცვლილებები შევიდა ანგარიშებთან დაკავშირებულ ოპერაციებში.

განხორციელდა სისტემის შემდეგი მოდულების ტექნიკური რეფაქტორინგი: ხელშეკრულებები, ვალდებულებები, მოთხოვნები, CPV დაზუსტებები, პაკეტური დამოწმებები, თანამშრომლები, პაკეტები, პირველადი დოკუმენტი, ოპერაციები დეპოზიტებზე, წინა წლის ნაშთები, დამოუკიდებელი მოდული, მთავარი წიგნი, ალტერნატიული მთავარი წიგნი და სხვა.

ოპერაციებს „გარედან ვალუტაზე“ და „გარედან მ.გ.“-ს დაემატა რედაქტირების ფუნქციონალი. ასევე, ამავე ჩანართზე განხორციელდა კონვერტაციის ავტომატიზაცია საინვესტიციო პროექტების ფარგლებში.

განხორციელდა ინტეგრაციები SWIFT სისტემისა და ხაზინის სისტემის უცხოური ვალუტის ჩარიცხვების კუთხით და შესყიდვების სისტემასთან სსიპ-ების მიერ ტენდერში მონაწილეობის საფასურის გადარიცხვების პროცესირების მხარდასაჭერად.

შესაძლებელი გახდა მხარჯავების პორტალზე არსებულ ჩანართზე „სსიპ“ ვალუტის გადარიცხვა და RTGS სისტემის მიერ უარყოფილი ტრანზაქციების ხელახალი პროცესინგი.

კლიენტის მხარეს დაემატა ახალი ანგარიშგება, „უწყისის რეპორტი (დეტალ.დაკავ.)“ და „სსიპ/ააიპ-ების შემოსავლების ჯამური რეპორტები“.

საერთო ანგარიშგებებს დაემატა ახალი ფილტრები და ბუღალტრული ანგარიშგებები. არსებულ ბუღალტრულ ანგარიშგებებს დაემატა ახალი საოპერაციო ანგარიშგებები: *„სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები*

ორგანიზაციულ ჭრილში“, „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები“, „სსიპ/ააიპ-ების შემოსავლების ჯამური რეპორტები“ და სხვა.

განხორციელდა ნორმატივების გადათვლის ოპტიმიზაცია და შემუშავდა მიზნობრივი გრანტების ახალი სერვისი.

შეიცვალა მოთხოვნების აღდგენისა და ვალუტის კურსების განახლების სერვისები. ოპერაციების „შემოსავლები - ადმინისტრატორი“ მართვის ლოგიკას დაემატა 28 და 30 ტიპის ოპერაცია.

განხორციელდა „ხელფასები“, „თანამშრომლები“, „საოპერაციო“ და „ცნობარები“ მოდულების ტექნიკური რეფაქტორინგი.

ჩატარდა „გადასახადების ერთიანი კოდის“ რეფორმის პირველი იტერაცია, რომელიც მოიცავს ახალი კლასიფიკატორების შექმნას, არსებულ კლასიფიკატორებში ცვლილებების შეტანას, კუბის სტრუქტურის ცვლილებას, მთავარი და ალტერნატიული მთავარი წიგნის, დამოუკიდებელი მოდულისა და ნაშთების მოდულის ცვლილებას.

განხორციელდა „გადასახადების ერთიანი კოდის“ რეფორმის მეორე და მესამე იტერაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: არსებული ხაზინის საინფორმაციო სერვისის ანალოგის შექმნა, შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სერვისების რეალიზაცია, გადათვლილი დღეების მენეჯმენტი და შესაბამისი სტატუსების ასახვა ბექში, შემოსავლების სერვისის გამოძახების ხელით მართვის მოდულის შექმნა, „გადათვლილი ტრანზაქციების“, „შიდა რეესტრები (ოპერატიული)“ და „გადათვლილი ტრანზაქციები (იმიტირებული)“ ჩანართების შექმნა და მათზე საჭირო ლოგიკების ასახვა. აგრეთვე, ხელმისაწვდომი რესურსის გამოთვლის წესის ცვლილება, შემოსავლების ბუღალტრული პროცესინგი, „ზედმეტად გადახდილი გადასახადებისა“ და „დღგ-ს დაბრუნების“ ოპერაციების ცვლილება და აღნიშნული ოპერაციების დუბლიკატების შექმნა, შემოსავლების მოდულის ზოგიერთი არსებული ოპერაციების გაუქმება და ზოგიერთ ოპერაციაში ცვლილების შეტანა. ზოგიერთი არსებული მეთოდის გაუქმება ან ახალი უფლებების გააქტიურება.

შეიქმნა შემდეგი ახალი ანაგრიშგებები: „სარეზერვო ფონდის ანგარიშგების ახალი ვერსია“, „შესრულება ღონისძიებების მიხედვით“, „E6 თვე“ და სხვა. ხაზინის პორტალზე არსებულ ანგარიშგება „ავტონომიების და ადგილობრივებისთვის გადასაცემი ტრანსფერები“ შეიცვალა გენერირების ლოგიკა.

ცვლილება შევიდა მხარჯავების პორტალზე არსებულ „დეპოზიტების ოპერაციებსა“ და „სსიპ-ის თანხის დაბრუნების“ ოპერაციებში.

სისტემას დაემატა ნორმატიული აქტის თანდართული დოკუმენტის დათვალიერების შესაძლებლობა და პირდაპირ ჩარიცხვებზე ახალი დავალების შექმნის უფლება.

ცვლილება შევიდა „გარე სერვისსა“ და „შესყიდვების სააგენტოს სერვისში“. ცვლილება შეეხო მესამე პირის გადახდის პროცედურას.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საგარეო ვალის აღრიცხვის განხორციელება ერთიან სისტემაში; საგარეო ვალის აღიარების პროცედურის განხორციელება; ბიუჯეტის შედგენისთვის საჭირო საშინაო ვალის ინფორმაციის მიწოდების ელექტრონული სერვისის შემუშავება; ფასიანი ქაღალდების აუქციონის რეგისტრაციის განხორციელება ავტომატურად ელექტრონული სერვისის საშუალებით;

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დასრულდა სისტემის ახალი ვერსიის საშინაო ვალის მოდულის ხარვეზების აღმოფხვრა, მომხმარებლების მიერ მოწოდებული შენიშვნების გათვალისწინება და მონაცემების მიგრაცია.

შემუშავდა და დაინერგა მიზნობრივი გრანტის მოდული. ახლად რეგისტრირებული მიზნობრივი გრანტების და არსებულ მიზნობრივ გრანტებზე მონაცემების მიმოცვლა სისტემებს შორის უკვე ხორციელდება ახლად შემუშავებული მოდულიდან.

სამუშაო გარემოში განთავსდა ბიუჯეტირებისთვის საჭირო ინფორმაციის მიმოცვლის მოდული. ასევე, განხორციელდა სისტემის კონფიგურაცია ახლად დამატებული მოდულის სამუშაო რეჟიმში მოსაყვანად და მოხდა სისტემის ძველ ვერსიაში არსებული ბიუჯეტირებისთვის საჭირო ინფორმაციის მიგრაცია ახალ სისტემაში.

მოხდა ეროვნული ბანკის მოდულში არსებული ყველა შენიშვნის და ხარვეზის გათვალისწინება და გამოსწორება, რის შედეგადაც სახელმწიფო ობლიგაციებზე (სესხი ეროვნული ბანკისთვის) მივიღეთ დეტალური და სრულყოფილი სურათი.

განხორციელდა სისტემაში არსებული საშინაო ვალის ყველა რეპორტის ვიზუალური გადაწყობა და გამოთვლების ოპტიმიზაცია.

პარალელურად ხორციელდება სისტემის ფრონტის მხარეს გამოყენებული Silverlight ტექნოლოგიის HTML-ით ჩანაცვლება, რომლის სამუშაო გარემოში განთავსება იგეგმება 2016 წლის I კვარტალში.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: eHRMS სისტემის სრული ინტეგრირება ხაზინის ერთიან სისტემასთან; შეფასების მოდულის განხორციელება; (Self Service) მომხმარებლის მოდულის დამატება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გაუმჯობესდა და დაიხვეწა სისტემის ფუნქციონალი. განახლდა კლასიფიკატორების მართვის სქემა და თანამშრომლის პირადი ბარათი და სხვადასხვა ჩანართი.

სისტემას დაემატა სამუშაო აღწერილობებისა და წოდებების ამსახველი ფუნქციონალები და ახალი სტატუსი „კადრების განკარგულება“ და ახალი ფილტრი დახურული დანიშვნების სტატუსის მქონე პირთათვის. განახლდა ანგარიშგებების არსებული ფუნქციონალი.

შემუშავდა ლოგირების ფუნქციონალი და განხორციელდა რეფაქტორინგი, რამაც განაპირობა სისტემის მუშაობის აჩქარება და ცვლილებები დიზაინის კუთხით.

განხორციელდა დასწრების აღრიცხვის სხვადასხვა ტიპის ელექტრონული სისტემების ე.წ. „ტურნიკეტების“ სინქრონიზაციის პროცესი.

შეიცვალა თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების და სტატუსის შეჩერების საფუძვლების ფუნქციონალი. დაიხვეწა შეტყობინებების ფუნქციონალი (დაემატა ინფორმაცია პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების ხელშეკრულების ვადის გასვლის შესახებ).

ოპტიმიზაცია განიცადა წოდებებისა და კადრების განკარგულების ვადების შეტყობინებებში ასახვის ფუნქციონალმა, გაიზარდა შეტყობინებების ასახვის პერიოდი.

დასწრების ტაბელში აისახა კანონით დადგენილი დღესასწაულების (დასვენების დღეების) ასახვა. შეიცვალა ორგანიზაციის პირველი პირების დანიშვნა/გათავისუფლების ლოგიკა. დაიხვეწა თანამდებობაზე სტრუქტურული ქვედანაყოფის ცვლილების ლოგიკა და დაემატა ატვირთული ფაილების წაშლის ვალიდაცია.

განახლდა საშვების მართვის ფუნქციონალი, დაიხვეწა ადმინისტრატორის ჩანართი თანამშრომლის პირად ბარათზე.

სისტემას დაემატა ბრძანებების ამსახველი სვეტი, სამუშაო სფეროსა დაფინანსების წყაროს კლასიფიკატორები, ჯილდოების ასახვის ველი, შვებულების ბრძანების ამსახველი რეესტრი და დაიხვეწა სამუშაო გამოცდილების ნაწილის ჩანაწერის ლოგიკა. განახლდა მივლინების ფუნქციონალი.

სისტემას დაემატა მუნიციპალიტეტების ამსახველი კლასიფიკატორი და ტერიტორიული ერთეულების იერარქიული კავშირები ქვეყნის, რეგიონის, მუნიციპალიტეტისა და ქალაქების მიხედვით. განხორციელდა სტატიკური ანგარიშგებების გაშვების თარიღების ლოგიკის ცვლილება, რაც გულისხმობს ანგარიშგებების მიღებას, როგორც კონკრეტული თარიღის, ასევე მითითებული პერიოდის მიხედვით. დამატებით, თითოეულ ანგარიშგებაზე ხდება რეპორტის გაშვების თარიღისა და დროის დატანა.

სისტემა დანერგილია 75-ზე მეტ სახელმწიფო ორგანიზაციაში.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: Microsoft System Center ძირითადი კომპონენტების სრული დანერგვა, ოპერაციული პროცესების საფეხურებრივი ოპტიმიზაცია და ავტომატიზება ITIL სტანდარტების დანერგვის გზით; ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა პერიმეტრის და შიდა ქსელის სეგმენტების დაცვის

გაუმჯობესებით (ISO 27000 სერიის სტანდარტების თანახმად); სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემების გაძლიერება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დაინერგა Microsoft System Center კომპონენტები - Configuration Manager, Operations Manager, Service Manager. განხორციელდა ორკესტრატორის ინტეგრაცია. მოხდა ცვლილებების მართვის პროცესის დანერგვა და ITIL სტანდარტებთან მისადაგება. გაიზარდა მონაცემთა შენახვის სისტემის წარმადობა და მოცულობა (40 ტერაბაიტით). განახლდა ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობილობები (Nexus 7000), 20 წუთიდან 5 წუთამდე შემცირდა მონაცემთა ცენტრებს შორის გადართვის დრო. დაინერგა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა და შემუშავდა ინფორმაციული უსაფრთხოების აქტივების პროფილირების მეთოდოლოგია.

შენიშვნა: მიმდინარეობს

VIII - რესურსების მართვა

1. სტრატეგიებთან დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავება

1.1 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-დან გამომდინარე დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება (მათ შორის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კოორდინაცია)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ანალიტიკური დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: დოკუმენტების შემუშავება და შესაბამისი ფორმით წარდგენა უფლებამოსილი ორგანოსათვის

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია სტრატეგის ბოლო ვარიანტი, რომელშიც აისახა სამუშაო ჯგუფისა და დონორი ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი) შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები. ზუსტდება ტექნიკური დეტალები და საბოლოო ვარინატთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები მსოფლიო ბანკის ტექნიკურ ჯგუფთან და ექსპერტებთან. გრძელდება მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის სისტემასთან დაკავშირებული კანონპროექტის საბოლოო სახის ჩამოსაყალიბებლად.

შენიშვნა: კანონპროქტი მზადაა საქართველოს მთავრობის სხდომაზე წარსადგენად.

1.2 სამინისტროს სამოქმედო გეგმაზე მუშაობა (მათ შორის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კოორდინაცია)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ანალიტიკური დეპარტამენტი/სხვადასხვა დეპარტამენტები

შესრულების მაჩვენებელი: სამინისტროს სამოქმედო გეგმის შემუშავება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა 2015 წლის სამოქმედო გეგმა

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა უწყებების მიერ მომზადებული, პოლიტიკის დოკუმენტების/რეფორმების შესაბამისობის შეფასება საჯარო ფინანსების მართვის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ანალიტიკური დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შესაბამისი კონკრეტული დოკუმენტის შემუშავება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ქვეყანაში საპენსიო რეფორმის გატარების ღონისძიებებში მონაწილეობა. შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება;

ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის დასახვეწად და ასამოქმედებლად სტრატეგიის შემუშავება;

საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ, შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს მომზადება; მიმდინარეობს მუშაობა პოლიტიკის დოკუმენტსა და კანონპროექტის შემუშავებაზე;

ქვეყანაში რეგულირების ზემოქმედების შეფასების სისტემის დასანაერგად შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობა;

Doing Business რეიტინგების ასამაღლებლად შეაბამისი რეკომენდაციები იქნა გაწეული შესაბამისი უწყებებისათვის;

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მომზადებულ კონცეფციაზე (სამართლებრივი რეფორმა ინოვაციების სფეროში) და კანონპროექტზებზე „ინოვაციური საქმიანობების შესახებ“ და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე შესაბამისი შენიშვნებისა და წინადადებების წარგნენა.

შენიშვნა: მიმდინარეობს მუშაობა (შესაძლოა მომდევნო წლებშიც გაგრძელდეს)

2. ფინანსთა სამინისტროს აკადემია

2.1 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საფინანსო თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: გადამზადებული თანამშრომლები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფინანსური ხელშეწყობით, 2015 წლის ნოემბერ - დეკემბერში გადამზადდა 206 ადამიანი.

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 თანამშრომლობა ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან სახელმწიფო ფინანსური მართვის გაუმჯობესების მიზნით ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს ექსპერტების მიერ განხორციელებული ტრენინგები და კონსულტაციები, ფინანსთა სამინისტროს სისტემის გადამზადებული თანამშრომლები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2015 წელს ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები იმყოფებოდნენ რუმინეთში, სადაც გაეცნენ კოლეგების გამოცდილებას სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით.

2015 წლის დეკემბერში განოხრციელდა ტრენინგები თემაზე „საინფორმაციო ტექნოლოგიების აუდიტი“ აუდიტის დეპარტამენტისა და „ეფექტიანობის შეფასება“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის (სულ 30-მდე ადამიანი).

შენიშვნა: დასრულებულია

3. ელექტრონული აუქციონის - eauction.ge - სისტემის განახლება და განვითარება

3.1 eauction.ge სისტემის დახვეწა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: - მობილური აპლიკაციების შექმნა; - პარტნიორი ორგანიზაციების მოზიდვა; ონლაინ კონსულტაციის ფუნქციონალის დახვეწა; ვებ-გვერდის მოდერნიზაცია; - დიზაინის და ფუნქციური განახლება; - ელექტრონული საგადახდო სისტემის გაფართოება; ინგლისური ვერსიის დახვეწა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მოხდა ონლაინ კონსულტაციის ფუნქციონალის დახვეწა; ვებ გვერდს დაემატა 3 ახალი პარტნიორი; ელექტრონული საგადახდო სისტემის გაფართოებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები ბანკ რესპუბლიკასა და ვითიბი ბანკთან; დაიხვეწა ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია.

ტესტირების რეჟიმშია მობილური აპლიკაცია (დასრულდება წლის ბოლოსათვის)- IOS-ის ოპერაციული სისტემის მობილური ტელეფონებისვთის.

შენიშვნა: დასრულებულია

4. ERP (Enterprise Resource Planning)

4.1 ERP სისტემის განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: - რეპორტინგის სისტემის ოპტიმიზაცია; - ინტერნეტ მაღაზიის და ERP-ს ინტეგრაცია; - ERP-ს ინტეგრაცია Rs.ge-სთან; - სისტემის სამუშაო პროცესის ოპტიმიზაცია და ფუნქციონალური განახლება;

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ERP - სისტემისას დაემატა მომხმარებლების უფლებების ახალი ფუნქციონქლი; შეიმნა მომხმარებლების ჯგუფების უფლებების მარეგულირებელი ფუნქციონალი; სისტემაში შეიქმნა ახალი რეპორტების სისტემა; გამოსწორდა საგადახდო დავალება, შემომავალში ხაზინის ანგარიშზე გატარების დროს არსებული პრობლემა; შესწორებულ იქნა ქონების ლიკვიდაციის გატარების წესები; შეიზღუდა რედაქტირების უფლებები ნომენკლატურის დამატებით საზომ ერთეულზე; შეიცვალა უფლებები ყველა დოკუმენტში დოკუმენტების შექმნის თარიღებთან მიმართებაში; რეალიზაციის დოკუმენტში შეიცვალა კანცელარიის კოდის შევსების პირობები და აღნიშნული ველი გახდა აუცილებელი.

1C - შეიქმნა სისტემაში არსებული დოკუმენტების შესრულების მსვლელობის, დოკუმენტების ვადების შესრულების მაკონტროლებელი ფუნქციონალი; სისტემაში შეიქმნა მომხმარებლების დავალებების უფლებების მარეგულირებელი ფუნქციონალი, დაემატა მათი შესრულების კონტროლის და უფლებების შეზღუდვა-მინიჭების ფუნქციები; შეიქმნა სისტემის დოკუმენტების ლოგირების ფუნქციონალი, შესაძლებელი გახდა სისტემის დოკუმენტების და მათზე მიმაგრებული ფაილების ცვლილებების ლოგირება; სისტემაში დარეგულირდა მომხმარებლების მოდულებზე წვდომა, ინდივიდუალურად ყველა მომხმარებელზე.

შენიშვნა: დასრულებულია

5. ძვირფასი ქვების, ლითონებისა და მათი ნაწარმის სახელმწიფო ზედამხედველობა

5.1 ძვირფასი ქვების, ლითონებისა და მათი ნაწარმის სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ზედამხედველობითი სისტემის შექმნის ძირითადი ამოცანების შესრულება: - სამსახურის შექმნა; - სამართლებრივი საკითხების დარეგულირება; - თანამშრომლობა ევროპულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (მათ შორის დონორებთან); - სამუშაო ვიზიტები ევროპის ქვეყნებში; - თანამშრომლობა ევროპის სასინჯ სამსახურებთან; - ინფრასტრუქტურის განვითარება; - ლაბორატორიის აღჭურვილობის შერჩევა; - საზედამხედველო სამსახურის კადრებით დაკომპლექტება და მათი ტრეინინგი; - საკომუნიკაციო გეგმის მომზადება და დამტკიცება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინაღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის ფარგელბში რისკების ანალიზის ჩატარება - სამუშაო ვიზიტი ისრაელში, ვენის კონვენციის ყოველწლიურ შეხვედაზე გამოსვლა და ასევე IAAO სამიტზე დასწრება, ადგილობრივი სასინჯი სამსახურის საქმიანობის შესწავლა - მუშაობა საკანონმდებლო საკითხებზე, კერძოდ კანონპროექტის სრულყოფა - თანამშრომლობა უცხოურ სასინჯ სამსახურებთან, კონსულტაციების გავლა - დონორებთან თანამშრონლობა, განაცხადის გაკეთება.

მიმდინარეობდა მუშაობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული რისკების შეფასების საკითხებზე. დილერებს ჩაუტარდათ გამოკითხვა ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმთან დაკავშირებით, გამოკითხულ იქნა 200-მდე დილერი. ამ ეტაპზე მუშავდება მონაცემები, რომელიც დასრულდება 1 კვირაში.

მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტის სრულყოფასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: დასრულებულია